

შპს „კავკასიენერგო“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების დამატებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	15
5. შემოსავალი კლიენტებთან არსებული ხელშეკრულებებიდან	16
6. სამშენებლო პროექტების თვითღირებულება	16
7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17
8. არასაოპერაციო შემოსავალი	17
9. ძირითადი საშუალებები	18
10. მარაგები	19
11. გადახდილი ავანსები	19
12. გაცემული სესხები	19
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
15. ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	20
16. მიღებული სესხები	21
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
18. მიღებული ავანსები	21
19. მოგების გადასახადი	22
20. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	22
21. ფინანსური რისკის მართვა	23
22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კავკასიენერგოს“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „კავკასიენერგოს“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან. ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დაგვნიშნეს 2019 წლის 29 იანვარს და შესაბამისად, ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ფიზიკური ინვენტარიზაციის პროცესს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღისთვის არსებული მარაგების ნაშთის სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 671 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრისა და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალეუბა ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხედენილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ სქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონიერულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თი“ -ს სახელით

7 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თი ეი“-ს სახელით

7 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო



შპს „კავკასიენერგო“

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი კლიენტებთან არსებული ხელშეკრულებებიდან	5	10,023	9,772
სამშენებლო პროექტების თვითღირებულება	6	(4,085)	(11,599)
საერთო მოგება/(ზარალი)		5,938	(1,827)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(922)	(1,803)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი	12; 13	(2,376)	(573)
სხვა შემოსავალი		14	29
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		2,654	(4,174)
ფინანსური ხარჯი	15; 16	(234)	(477)
ფინანსური შემოსავალი	12	-	153
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(33)	(352)
არასაოპერაციო ხარჯები		(35)	(82)
არასაოპერაციო შემოსავალი	8	751	6,052
მოგება დაბეგვრამდე		3,103	1,120
მოგების გადასახადის ხარჯი	19	-	-
წლის წმინდა მოგება		3,103	1,120
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		3,103	1,120

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაგელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი კლიენტებთან არსებული			
ხელშეკრულებებიდან	5	10,023	9,772
სამშენებლო პროექტების			
თვითღირებულება	6	(4,085)	(11,599)
საერთო მოგება/(ზარალი)		5,938	(1,827)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(922)	(1,803)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი	12; 13	(2,376)	(573)
სხვა შემოსავალი		14	29
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		2,654	(4,174)
ფინანსური ხარჯი	15; 16	(234)	(477)
ფინანსური შემოსავალი	12	-	153
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(33)	(352)
არასაოპერაციო ხარჯები		(35)	(82)
არასაოპერაციო შემოსავალი	8	751	6,052
მოგება დაბეგვრამდე		3,103	1,120
მოგების გადასახადის ხარჯი	19	-	-
წლის წმინდა მოგება		3,103	1,120
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		3,103	1,120

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაველიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	6,980	7,430
არამატერიალური აქტივები		5	6
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,985	7,436
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	671	941
გადახდილი ავანსები	11	1,365	1,287
გაცემული სესხები	12	-	455
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	8,492	4,545
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	12	27
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,540	7,255
სულ აქტივები		17,525	14,691
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		10,639	7,536
სულ კაპიტალი		10,639	7,536
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ღირებულების ვალდებულება	15	36	58
მიღებული სესხები	16	-	241
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		36	299
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	3,098	3,725
მიღებული ავანსები	18	3,187	2,359
ფინანსური ღირებულების ვალდებულება	15	84	62
მიღებული სესხები	16	481	710
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,850	6,856
სულ ვალდებულებები		6,886	7,155
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,525	14,691

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაველიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	6,980	7,430
არამატერიალური აქტივები		5	6
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,985	7,436
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	671	941
გადახდილი ავანსები	11	1,365	1,287
გაცემული სესხები	12	-	455
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	8,492	4,545
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	12	27
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,540	7,255
სულ აქტივები		17,525	14,691
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		10,639	7,536
სულ კაპიტალი		10,639	7,536
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	15	36	58
მიღებული სესხები	16	-	241
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		36	299
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	3,098	3,725
მიღებული ავანსები	18	3,187	2,359
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	15	84	62
მიღებული სესხები	16	481	710
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,850	6,856
სულ ვალდებულებები		6,886	7,155
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,525	14,691

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაფელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2016	6,891	6,891
წლის სრული შემოსავალი	1,120	1,120
გადახდილი დივიდენდი	(475)	(475)
31 დეკემბერი, 2017	7,536	7,536
წლის სრული შემოსავალი	3,103	3,103
31 დეკემბერი, 2018	10,639	10,639

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაგელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2016	6,891	6,891
წლის სრული შემოსავალი	1,120	1,120
გადახდილი დივიდენდი	(475)	(475)
31 დეკემბერი, 2017	7,536	7,536
წლის სრული შემოსავალი	3,103	3,103
31 დეკემბერი, 2018	10,639	10,639

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაფელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „გაგვასენერგო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		3,104	1,120
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	9	755	1,355
გაუფასურების ხარჯი	12; 13	2,376	573
ფინანსური შემოსავალი	12	-	(153)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		33	352
ფინანსური ხარჯები	15; 16	234	477
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		6,502	3,724
შემცირება/(ზრდა) მარაგებში		270	(102)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(6,208)	(7,566)
ზრდა გადახდილ ავანსებში		(78)	-
შემცირება სავაჭრო ვალდებულებებში		(322)	(7,767)
ზრდა მიღებულ ავანსებში		828	-
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		992	3,421
გადახდილი პროცენტი		-	(460)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		992	2,961
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(303)	(379)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(22)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(303)	(401)
ფინანსური საქმიანობა			
ბანკის სესხის აღება		264	2,452
ბანკის სესხის დაფარვა		(932)	(4,625)
ფინანსური ლიზინგის დაფარვა		(26)	(16)
დივიდენდის გადახდა		-	(475)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(694)	(2,664)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების შემცირება		(5)	(104)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	27	133
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(10)	(2)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	12	27

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაგელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		3,104	1,120
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9	755	1,355
გაუფასურების ხარჯი	12; 13	2,376	573
ფინანსური შემოსავალი	12	-	(153)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		33	352
ფინანსური ხარჯები	15; 16	234	477
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		6,502	3,724
შემცირება/(ზრდა) მარაგებში		270	(102)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(6,208)	(7,566)
ზრდა გადახდილ ავანსებში		(78)	-
შემცირება სავაჭრო ვალდებულებებში		(322)	(7,767)
ზრდა მიღებულ ავანსებში		828	-
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		992	3,421
გადახდილი პროცენტი		-	(460)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		992	2,961
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(303)	(379)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(22)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(303)	(401)
ფინანსური საქმიანობა			
ბანკის სესხის აღება		264	2,452
ბანკის სესხის დაფარვა		(932)	(4,625)
ფინანსური ლიზინგის დაფარვა		(26)	(16)
დივიდენდის გადახდა		-	(475)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(694)	(2,664)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების შემცირება		(5)	(104)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	27	133
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(10)	(2)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	12	27

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაველიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „კავკასიენერგო“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წლის 14 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ბარათაშვილის ქ. N2, სართული 3. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის გიორგი მირუაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გვირაბების მშენებლობა, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა და რემონტი.

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაცია ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები

კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.1 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების მოცულობა, მომგებიანობა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო / ლარი	3.0701	3.1044
საშუალო გაცვლითი კურსი	2018	2017
1 აშშ დოლარი / ლარი	2.5345	2.5086
1 ევრო / ლარი	2.9913	2.8322

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360
რეზერვი %	0%	2%	5%	25%	50%	50%

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
შენობა-ნაგებობები	25
მანქანა-დანადგარები	20
სატრანსპორტო საშუალებები	8
აღჭურვილობა	5
სამშენებლო ხელსაწყოები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების შესაფასებლად, ატივები ჯგუფდება იმ დონემდე, სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსურ აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება, გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა, თუ ხელშეკრულება მოიცავს იჯარას, დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

სამშენებლო კონტრაქტებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დასრულების პროცენტული მაჩვენებლის მეთოდის გამოყენებით, რაც გამოითვლება ანგარიშგების თარიღისთვის ფაქტიური დანახარჯების პროპორციულად, მთლიან დაგეგმილ ხარჯებთან მიმართებაში, თითოეული კონტრაქტისთვის.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა (გაგრძელება)

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია ავანსი, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული ავანსების ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მომველეობა, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

სამშენებლო კონტრაქტის შესრულების პროცენტის შეფასება

კომპანია აღიარებს შემოსავალს სამშენებლო კონტრაქტების შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდამდე კონტრაქტზე გაწეული ხარჯის, მთლიანი კონტრაქტის განსაზღვრული ხარჯის წილის შესაბამისად და როდესაც ანაზღაურების მიღება საიმედოდ უზრუნველყოფილია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩათვლის, რომ ოპერაცია ვერ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმს, შემოსავლის აღიარება გადაიდება პირობის შესრულებამდე.

შესრულების პროცენტის მეთოდი განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ა) შესაძლებელია მთლიანი კონტრაქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება; ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში; ც) შესაძლებელია როგორც კონტრაქტის მთლიანი დანახარჯის, ასევე კონტრაქტის დასრულების ეტაპის პერიოდის ბოლოს საიმედოდ შეფასება; დ) შესაძლებელია კონტრაქტის ხარჯის გარკვევით იდენტიფიცირება და კონტრაქტზე მიკუთვნება, ისე რომ შესაძლებელი იყოს კონტრაქტზე გაწეული რეალური ხარჯების შედარება წინა შეფასებებთან.

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსასაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასულ და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

შპს „კავკასიენერგო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებოდნენ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

5. შემოსავალი კლიენტებთან არსებული ხელშეკრულებებიდან

	2018	2017
პროექტი ბეშუმბი	5,611	3,346
პროექტი ხუდონი	1,762	-
პროექტი ჯვარი-ხორგა	792	3,402
პროექტი კოკი-ორსანტია	457	467
პროექტი რუსთავი	348	-
სხვა პროექტები	1,053	2,557
სულ შემოსავალი კლიენტებთან არსებული ხელშეკრულებებიდან	10,023	9,772

6. სამშენებლო პროექტების თვითღირებულება

	2018	2017
მასალების ხარჯი	2,356	5,255
ხელფასი	938	3,773
ცვეთა	667	1,299
რემონტი	124	425
ქვეკონტრაქტორები	-	847
სულ სამშენებლო პროექტების თვითღირებულება	4,085	11,599

შპს „კავკასიენერგო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასი	517	621
მომსახურება	95	138
ცვეთა და ამორტიზაცია	86	56
იჯარა	71	148
მივლინება	32	63
კომუნიკაცია	29	45
საწვავი	28	123
დაზღვევა	22	54
ბანკის საკომისიო	18	110
კომუნალური ხარჯები	15	74
საკანცელარიო ხარჯები	4	-
სხვა საგადასახადო ხარჯი	-	350
სხვა ხარჯი	5	21
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	922	1,803

8. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ძირითადად შედგება ერთ-ერთი კლიენტი კომპანიის მიმართ გადახდის დაგვიანებაზე დაკისრებული ჯარიმისგან.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კი შედგებოდა ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული ჯარიმებისგან სამი ქვეკონტრაქტორი კომპანიის მიმართ.

შპს „გაგასენერგო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

9. ძირითადი საშუალებები

	შენობა-ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სამშენებლო ხელსაწყოები	სულ ჯამი
<i>თვითღირებულება</i>						
31 დეკემბერი, 2016	-	9,138	268	148	863	10,417
შეძენა	-	445	15	-	41	501
31 დეკემბერი, 2017	-	9,583	283	148	904	10,918
შეძენა	288	-	15	-	-	303
31 დეკემბერი, 2018	288	9,583	298	148	904	11,221
<i>დაგროვილი ცვეთა</i>						
31 დეკემბერი, 2016	-	(1,938)	(151)	(32)	(12)	(2,133)
ცვეთის ხარჯი	-	(1,105)	(56)	(19)	(175)	(1,355)
31 დეკემბერი, 2017	-	(3,043)	(207)	(51)	(187)	(3,488)
ცვეთის ხარჯი	(10)	(486)	(57)	(19)	(181)	(753)
31 დეკემბერი, 2018	(10)	(3,529)	(264)	(70)	(368)	(4,241)
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>						
31 დეკემბერი, 2016	-	7,200	117	116	851	8,284
31 დეკემბერი, 2017	-	6,540	76	97	717	7,430
31 დეკემბერი, 2018	278	6,054	34	78	536	6,980

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯამური ცვეთის ხარჯიდან 667 ათასი აღიარდა როგორც სამშენებლო პროექტების თვითღირებულება - დარჩენილი 86 ათასი ლარი აღიარდა როგორც ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი (2017: 1,299 ათასი ლარი და 56 ათასი ლარი შესაბამისად).

შპს „კავკასიენერგო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

10. მარაგები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
დაუმთავრებელი წარმოება	404	549
ნედლეული	84	83
სხვა მარაგები	183	309
სულ მარაგები	671	941

2018 წელს 2,356 ათასი ლარი (2017: 5,255 ათასი ლარი) აღიარდა ხარჯად. ეს ხარჯი დაკლასიფიცირდა, როგორც რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.

11. გადახდილი ავანსები

ძირითადად შედგება მომწოდებლების მიმართ გადახდილი ავანსებისგან. გადახდილი ავანსები ასევე შეიცავს წინასწარგადახდილ ხელფასებს (47 ათასი ლარი).

12. გაცემული სესხები

	გაცემის თარიღი	სესხის ვადა	პროცენტი	ვალუტა	31-დეკ-18	31-დეკ-17
ზურაბ ჯაველიძე	12/19/2016	12/19/2021	20%	აშშ დოლარი	251	320
გიორგი მოლაშხია	12/19/2016	12/19/2021	20%	აშშ დოლარი	129	320
გიორგი მირუაშვილი	12/19/2016	12/19/2021	20%	აშშ დოლარი	232	319
სულ გაცემული სესხები					612	959
ძირი					451	806
პროცენტი					161	153
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი					(612)	(504)
წმინდა გაცემული სესხები					-	455

გაცემულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგინა 0 ლარი, (2017: 153 ათასი ლარი).

*გაცემული სესხების გაუფასურება	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	504	-
ზრდა წლის განმავლობაში	108	504
ნაშთი წლის ბოლოს	612	504

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო მოთხოვნები	9,322	3,600
სხვა მოთხოვნები	1,787	1,293
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(2,617)	(348)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,492	4,545

*გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

*სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	349	279
ზრდა წლის განმავლობაში	2,268	69
ნაშთი წლის ბოლოს	2,617	348

შპს „კავკასიენერგო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-18	31-დეკ-17
ნაღდი ფული სალაროში	8	6
ფული ბანკში	4	14
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	7
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	12	27

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შეიძლება დაკლასიფიცირდეს, როგორც ურისკო, იქიდან გამომდინარე, რომ ბანკები, სადაც კომპანიას გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიშები წარმოადგენენ საიმედო და კარგად ცნობილ საკრედიტო ინსტიტუტებს.

15. ფინანსური ლიზინგის ვალდებულება

ხელშეკრულება	მეიჯარე	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	იჯარის ვადა	31-დეკ-18	31-დეკ-17
LA-72021	სს თიბისი ლიზინგი	აშშ დოლარი	20%	10/25/2020	60	60
LA-72022	სს თიბისი ლიზინგი	აშშ დოლარი	20%	10/25/2020	60	60
სულ ფინანსური ლიზინგის ვალდებულება					120	120
მათ შორის:						
მიმდინარე					84	62
გრძელვადიანი					36	58

მინიმალური საიჯარო გადახდები	31-დეკ-18	31-დეკ-17
1 წლამდე	95	62
1-დან 5 წლამდე	39	69
5 წელზე მეტი	-	-
მინუს: მომავალი საპროცენტო ხარჯი	(14)	(11)
ფინანსური ლიზინგის ვალდებულების მიმდინარე ღირებულება	120	120

ფინანსური ლიზინგის ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი 2018 წლით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 15 ათას ლარს (2017: 16 ათასი ლარი).

შპს „კავკასიენერგო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

16. მიღებული სესხები

ორგანიზაცია	ხელშეკრულება	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	პროც ენტი	ვალუტა	31-დეკ-18	31-დეკ-17
სს თიბისი ბანკი	ხელშეკრულება DC-634057	6/29/2016	7/1/2019	7.5%	ევრო	-	102
სს თიბისი ბანკი	ხელშეკრულება DC-634057	6/29/2016	7/1/2019	7.5%	ევრო	397	321
სს თიბისი ბანკი	#2266786- 10321923	2/6/2018	5/6/2018	13%	ლარი	-	37
სს თიბისი ბანკი	#2266786- 9408815	12/13/2017	1/29/2018	13%	ლარი	-	250
სს ბანკი რესპუბლიკა	#000624474	6/7/2016	5/31/2018	8.5%	აშშ დოლარი	-	241
სს თიბისი ბანკი	#000653066	8/12/2016	8/12/2018	8.5%	აშშ დოლარი	84	-
სულ სესხები						481	951
მათ შორის:							
ძირი						481	951
პროცენტი						-	-

სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგინა 219 ათასი ლარი (2017: 461 ათასი ლარი).

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო ვალდებულებები	2,102	2,269
გადასახდელი ხელფასი	369	527
საგადასახადო ვალდებულებები	627	929
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,098	3,725

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე.
- სახელფასო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის სამ თვემდე.
- სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და საშუალო გადახდის ვადა აქვს სამ თვემდე.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის მიერ ლიკვიდურობის რისკის მართვის შესახებ იხილეთ შენიშვნა 21-ში.

18. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები შედგება ჯვარი-ხორგას პროექტის ფარგლებში ჩარიცხული ავანსებისგან, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 3,187 ათას ლარს (2017: 2,359 ათას ლარს).

19. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

მოგების გადასახადი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა ნულს.

20. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არსებობს შესაბამისი რეზერვი).

21. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
გაცემული სესხი	12	-	455
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	8,492	4,545
ფული ბანკში	14	4	14
სულ ფინანსური აქტივები		8,496	5,014

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	15	120	120
მიღებული სესხი	16	481	951
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	3,098	3,725
სულ ფინანსური ვალდებულებები		3,699	4,796

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

31-დეკ-18

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	-	124	(124)
ევრო	-	367	(367)
სულ	-	491	(491)

31-დეკ-17

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	-	576	(576)
ევრო	-	696	(696)
სულ	-	1,272	(1,272)

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალის მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

გავლენა მოგება-ზარალზე

	31-დეკ-18	31-დეკ-17
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(12)	(58)
ევროს 10%-ით გამყარება	(37)	(70)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	12	58
ევროს 10%-ით გაუფასურება	37	70

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2018 და 2017 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

31-დეკ-18	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხი	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,492	-	-	8,492
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	-	-	12
ფინანსური ვალდებულებები				
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	(84)	(36)	-	(120)
მიღებული სესხი	(481)	-	-	(481)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,098)	-	-	(3,098)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	4,841	(36)	-	4,805
31-დეკ-17	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხი	-	455	-	455
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,545	-	-	4,545
ფული და ფულის ეკვივალენტები	27	-	-	27
ფინანსური ვალდებულებები				
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	(62)	(58)	-	(120)
მიღებული სესხი	(710)	(241)	-	(951)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,725)	-	-	(3,725)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	75	156	-	231

22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს :

- (a) მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილი ქვემოთ:

		31-დეკ-18	31-დეკ-17
ურთიერთდამოკიდებულება		დაკავშირებულ მხარეებთან ბალანსები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
შპს ჯეო მეტალი	საერთო კონტროლის ქვეშ	13	12
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
შპს ჯეო მეტალი	საერთო კონტროლის ქვეშ	494	532
გაცემული სესხები			
ზურაბ ჯაველიძე	საერთო კონტროლის ქვეშ	251	320
გიორგი მირუაშვილი	საერთო კონტროლის ქვეშ	232	320
გაცემული სესხების რეზერვი		(483)	(504)

		31-დეკ-18	31-დეკ-17
ურთიერთდამოკიდებულება		დაკავშირებულ მხარეებთან ბალანსები	
შემოსავალი			
შპს ჯეო მეტალი	საერთო კონტროლის ქვეშ	-	1,333
ფინანსური შემოსავალი			
ზურაბ ჯაველიძე	საერთო კონტროლის ქვეშ	-	(51)
გიორგი მირუაშვილი	საერთო კონტროლის ქვეშ	-	(51)

22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან სხვა ტრანზაქციები:

ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2018	2017
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა მოკლევადიანი სარგებელი	227	195

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2019 წლის 18 ივლისიდან კომპანიის ახალი 100%-იანი მფლობელი გახდა მიხეილ კირვალიძე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „კავკასიენერგო“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები	3
2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	5
3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ	5
4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	5
5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	7
6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად	7

შპს „კავკასიენერგო“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

1. ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები

შპს „კავკასიენერგო“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანიის რეგისტრაციის თარიღია 2011 წლის 14 დეკემბერი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გვირაბების მშენებლობა, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა და რემონტი. კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მასშტაბით.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

მისამართი: ბარათაშვილის ქ. №2. თბილისი, საქართველო, 0105'

ელ. ფოსტა: info@ce.ge

ვებ გვერდი: www.ce.ge

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ფიზიკური პირი, გიორგი მიურაშვილი.

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2018 წლისთვის შეადგენდა 373 ადამიანს.


კომპანია დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით რომლებიც გამოცდილებასთან ერთად, სამუშაოს ეფექტურად და ხარისხიანად შესრულებით გამოირჩევიან. დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2018 წლისთვის შეადგენდა 373 ადამიანს. პერსონალს სისტემატურად უტარდება შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი.

კომპანიის აღმასრულებელი ორგანოს წარმოადგენს დირექტორატი. კომპანიის დირექტორს და გადაწყვეტილებების მიმღებს, კომპანიის მფლობელთან ერთად წარმოადგენს ზურაბ ჯაველიძე.

კომპანიის დეტალური ორგანიზაციული სტრუქტურა მე - 4 გვერდზე წარმოდგენილია.

1. ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები (გაგრძელება)

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა:



1. ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები (გაგრძელება)

კომპანიას თავისი ფუნქციონირების განმავლობაში მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი აქვს განხორციელებული, მათ შორის არის პროექტი „220/110 კვ მარნეულის ქვესადგურის გაფართოება 500 კვ ფრთით“, რომელიც განხორციელდა 2015-2016 წლებში და რომლის მთლიანი საკონტრაქტო ღირებულებაც იყო 2,069,084 ევრო.

კომპანია განვითარების ახალ ფაზაში გადადის და მრავალმხრივი მიზნები და გეგმები გააჩნია, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. კომპანიის სტაბილურობის შენარჩუნება, ზრდა და განვითარება;
2. მომსახურების მაღალი ხარისხი;
3. გუნდური პრინციპით მუშაობა;
4. კომპანიის საქმიანობის ეტაპობრივი გაფართოება

2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

საზოგადოება სისტემატურად აწარმოებს ბაზარზე არსებული ფასების კონკურენციის და პროდუქციის შესწავლას, თუმცა ეს ხორციელდება შიდა ძალებით, მათ შორის ელექტრონული ტენდერების ანალიზით, და არა რაიმე ოფიციალური კვლევის საფუძველზე.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიას აქვს რამდენიმე ბეტონის წარმოების ქარხანა რეგიონებში, საქართველოს მასშტაბით, თუმცა ძირიადი საქმიანობის განხორციელება, ადმინისტრირება და მონიტორინგი ხორციელდება სათაო ოფისის მეშვეობით.

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

საზოგადოება დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება.

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ (გაგრძელება)

კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძოზიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

საპროცენტო რისკი - საზოგადოებაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები მხოლოდ ფიქსირებულ - პროცენტიანია, შესაბამისად საპროცენტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

სავალუტო რისკი - საზოგადოებაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა საზოგადოებას არ აქვს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთები და ტრანზაქციები, შესაბამისად სავალუტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ცხრილში წარმოდგენილია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ კომპანიის მგრძნობელობა:

ათას ლარში		31-დეკ-18	
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	-	124	(124)
ევრო	-	367	(367)
სულ	-	491	(491)

ათას ლარში	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(12)
ევროს 10%-ით გამყარება	(37)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	12
ევროს 10%-ით გაუფასურება	37

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

31-დეკ-18	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხი	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,492	-	-	8,492
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	-	-	12
ფინანსური ვალდებულებები				
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	(84)	(36)	-	(120)
მიღებული სესხი	(481)	-	-	(481)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,098)	-	-	(3,098)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	4,841	(36)	-	4,805

5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და შესაბამისად არ გააჩნია საკუთარი აქციები, არც სხვა რომელიმე ორგანიზაციის აქციებით ვაჭრობს.

6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

ფინანსური რისკების გარდა, კომპანიაში ასევე არსებობს საოპერაციო რისკები.

კომპანიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარემოს დაცვას და უსაფრთხოებას. კომპანია მუშაობს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

კონკრეტული პროექტის როგორც დაწყების დროს, ასევე მიმდინარეობის პროცესში დეტალურად ხდება შესაძლო რისკების დადგენა და მუშავდება მათი თავიდან აცილების გეგმა.

6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად (გაგრძელება)

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

საზოგადოების რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და საზოგადოების საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ საზოგადოების საოპერაციო ერთეულებთან ერთად. საზოგადოების საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს საზოგადოების საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შემოღებისდაგვარად ლაკონიურად არის წარმოდგენილი.

დირექტორი - ზურაბ ჯაფელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შპს „კავკასიენერგო“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად (გაგრძელება)

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

საზოგადოების რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და საზოგადოების საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ საზოგადოების საოპერაციო ერთეულებთან ერთად. საზოგადოების საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს საზოგადოების საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონიურად არის წარმოდგენილი.

დირექტორი - ზურაბ ჯაველიძე



მთავარი ბუღალტერი - ღია არაქელაშვილი